პრესრელიზი

„ევროპული სკოლის“ საერთაშორისო ბაკალავრიატის დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა ონლაინ გამოფენა

28 მაისს „ევროპული სკოლის“ საერთაშორისო ბაკალავრიატის დაწყებითი საფეხურის მე-5-ის მოსწავლეებმა წლის შემაჯამებელი ონლაინ გამოფენა მოაწყეს. მოსწავლეები 6 ჯგუფად დაიყვნენ და გამოიკვლიეს შემდეგი თემები: შეუწყნარებლობა, კონფლიქტები და მათი გადაჭრის გზები, გარემოს დაბინძირება, ტექნოლოგიური ინოვაციები და ჯანსაღი ცხოვრების სტილი. სტუდენტებმა ცნებები საკვლევ მიმართულებას დაუკავშირეს და ჩამოწერეს ის ძირითადი კითხვები, რომლებსაც პასუხს გასცემდნენ კვლევის განმავლობაში. ყველა საჭირო ინფორმაციის მოძიების, ინტერვიუს, გამოკითხვების და აქტივობების ჩატარების შემდეგ, მოსწავლეებმა დაიწყეს მუშაობა მთავარ პრეზენტაციაზე. მოპოვებული მასალებისა და ინფორმაციის ორგანიზებისთვის მათ გამოიყენეს Canva.com,Sway and Power Point Presentations. მოსწავლეები და პედაგოგები მოუთმენლად ელოდნენ აკადემიური წლის ყველაზე საინტერესო გამოფენის ნაწილს და განსაკუთრებულად მოემზადნენ შესაბამისად.

დაწყებითი საფეხურის ყველაზე მნიშვნელოვან წლის ღონისძიებაზე მოსწავლეებმა გასაოცარი პრეზენტაციები წარმოადგინეს. ისინი მართლაც გლობალურად მოაზროვნე მოქალაქეები არიან და მოსწავლეების ამ გამოფენამ დიდი მოწონება დაიმსახურა.

ვაჰიდ: „ჩემი გამოფენიდან მიღებული გამოცდილება არის საკმაოდ კარგი. დრო სახალისოდ გავატარე მენტორებთან.ისინი ძალიან დაგვეხმარნენ ჩვენ გამოფენისთვის.“

დერენ: ,, ვფიქრობ, რომ გამოფენა უდიდესი წარმატება იყო ონლაინ მუშაობისა. ის დაეხმარა ყველა მეხუთე კლასელს გამხდარიყვნენ კომუნიკაბელურები. გამოფენის პროცესის განმავლობაში ჩვენ განვივითარეთ ფიქრის, კვლევის, კომუნიკაციის უნარები. პირადად მე ვფიქრობ,რომ გამოფენას შეუძლია აჩვენოს შენი კრეატიულობა და ბეჯითად მუშაობა. ეს იყო ძალიან სასარგებლო და საინტერესო პროექტი.ჩემს მენტორებთან და ჯგუფის წევრებთან დრო ძალიან სახალისოდ გავატარე.ჩვენ ერთმანეთს გავუზიარეთ იდეები, ფიქრები და ა.შ“

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
„ევროპული სკოლის“ პიარმენეჯერი ნინო კუსრაშვილი
მობ.:(+995 93) 18 66 71, ელ-ფოსტა: nino.kusrashvili@europeanschool.ge